შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

თურქული ფილოლოგიის სპეციალობა

თურქმენული ეპოსის ტიპოლოგია

აჰმეთ გოქჩეგოზოღლუ

თურქული ფილოლოგია, სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი

თბილისი – **2018**

სამეცნიერო ხელმძღვანელის წოდება, სახელი, გვარი

ასოც. პროფესორი - აჰმეთ გიოქჩიმენ (ერზრუმის ათათურქის უნივერსიტეტი)

_____

(ხელმძღვანელის ხელმოწერა)

ექსპერტები:

1. პროფ. დოქტ. ილიას უსთუნიერ _____
2. ასოც. პროფ. დოქტ. მუზაფერ ქირი _____

ოპონენტები:

1. ასოც. პროფ. დოქტ. მარინე შონია _____
2. ასოც. პროფ. დოქტ. ელენე ჯაველიძე _____

შესავალი

ეპოსი წარმოადგენს ხალხური ზეპირსიტყვიერების ისეთ სახეს, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა მთხრობელებისა და მგოსნების მეშვეობით და რომლების გადმოგცვემენ ამა თუ იმ ერის ცხოვრებაში მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებს - ომი, მიგრაცია, სოციალური თუ ბუნებრივი მოვლენები და სხვა.ტერმინის ეპოსი (destan) თურქმენულ ენაში შევიდა სპარსული ენიდან, ფონეტიკური ცვლილება და თურქმენულში გვაქვს ფორმით - dessan. თურქმენულ ლიტერატურაში ტერმინი "destan" - ეპოსი - ფართოდ გამოყენებადი ტერმინია. იგი რამოდენიმე მნიშვნელობით გამოიყენება და ნიშნავს: ისტორიული მოვლენა, გადმოცემა, ამბავი, თხზულება. მაგალითად, ანდალიპ-ის "ოღუზნამა"-ში თითოეული თავი ნახსენებია როგორც "პირველი დესტანი", "მეორე დესტანი". "ჩინგიზ ხანის შესახებ დესტანი" - ასეთი და მსგავსი ფორმებით დესტანი გამოიყენება გადმოცემისა თუ თხზულების მნიშვნელობით. (Garrıyev, 1982: 26-27). თურქმენულ ფოლკლორში ხდება დესტანის (ეპოსის) ორ კატეგორიად დაყოფა - პრიველი: ინდივიდუალური ეპოსი, მეორე: ხალხური ეპოსი. აღნიშნულის მიუხედავად თურქმენულ ეპოსებს შორის ასეთი ტიპის (ფორმალური) განსხვავება არ დასტურდება. თურქმენულ ეპოსებს ახასიათებთ შინაარსობრივი, სტრუქტურული და ენობრივი მსგავსებები რისი მიზეზიცაა თურქმენულ ლიტერატურაში ზეპირი და წერილობითი ნაწარმოებების ერთმანეთთან სიახლოვე, რის შედეგადაც განსვავებულ ეპოსებში შეიძლება შეგვხვდეს ერთიდაიგივე გმირები თუ სიუჟეტები (Durdıyev, vd., 1967: 57). ტერმინი "დესტანი" (ეპოსი) განისაზღვრება როგორც პოეტური ან პროზაული ფორმით გადმოცემული ამა თუ იმ გარდასული მოვლენის შესახებ ზეპირი ან წერილობითი ნაწარმოები. ხალხურ ეპოსებში ძირითადად გადმოცემული და ასახულია ორი შეყვარებულის მიერ ბედნიერების მიღწევის მიზნით ამა თუ იმ გარეშე ძალის წინააღმდეგ გაწეული ბრძოლა. აღსანიშნავია, რომ ხალხური ეპოსები წარმოიშვა ეპოსის, როგორც ჟანრის წარმოშობის შემდეგ. ისეთი ესპოსები, როგორებიცაა "საიათლი-ჰემრა", "შაშენემ-გარიფ" და ჰუირლუქგა-ჰემრა" წარმოიშვნენ "ქოროღლი"-ის ეპოსიდან (Garrıyev, 1982: 28-82-83). გარრიევ-ის მოსაზრებით ისეთი

ნაწარმოები, რომლის მთავარ სიუჟეტს შეადგენს სიყვარული, შეიძლება ასევე ჩაითვალოს ეპოსად.

თურქმენულ ლიტერატურაში დესტანის ჟანრის აღმნიშვნელი რამოდენიმე ტერმინი გამოიყენება: “Destan (ეპოსი)”, “Epos, Ṣa Dessan” (ეპიკური საგა), “Avtorlu Destan” (ავტორის მქონე ეპოსი), “Anonim Destan” (ანონიმური ეპოსი), “Halk Destanı” (ხალხური ეპოსი), “Gahrımançılıklı Halk Destanı” (ხალხური საგმირო ეპოსი), “Erteki Eposu”. (Şahin, 2011: 55). ეპოსების თურქმენულ ტრადიციაში გადმომცემები იღებენ თქმულებათა გადმოცემის-თხრობის ფუნქციას. ამა თუ იმ ამბავის გადმოცემისას მთხრობელი შედის იმ პესონაჟთა როლებში, რომლებსაც იგი უშუალოდ გადმოსცემს და ცდილობს მათ განსახიერებას. ეს მიუთითებს მთხრობელის არტისტულ შესაძლებლობებზე (Şamıradov, vd., 1961: 174). თურქმენულ ხალხულ ზეპირსიტყვიერებაში მათ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ.

ეპოსის ჟანრის კვლევისას ერთერთი კვლევის მეთოდია მათი ტიპოლოგიური კუთხით შესწავლა. მოცემული ნაშრომის მიზანია თურქმენული ეპოსების “დოვლეთიარ“, “ჰოჯამბერდი ჰან“, “შაბეჰრამ“, “ჰელალაი - გარიფ“ და “მელიქე დილარამ“-ის ტიპოლოგიური ანალიზის შეეგად თურქმენული ზეპირსიტყვიერების ტრადიციისა და ზოგადად თურქმენული კულტურის მნიშვნელობის გამოვლენა. ეპოსების ტიპოლოგიური მხრივ განსაზღვრისა და ტიპოლოგიური ნიშანთვისებების გამოვლენის კუთხით მკვლევართა მიერ გამოყენებულია მრავალი კრიტერიუმი. აღნიშნული კრიტერიუმების დადგენა ხდება ეპოსების მთავარ მოქმედ პირთა ტიპების განსაზღვრით იმავე ეპოსის შემქმნელი ერის რელიგიურ-საკრალური ღირებულებების გათვალისწინებით. ბორატავ-ის მოსაზრებით ეპოსების გმირებსა და იმავე ეპოსების შემქმნელ ერებს შორის გონებრივი და გრძნობითი ერთობა არსებობს სადაც ადგილი არ აქვს წინააღმდეგობებს თვისებებსა და თვითცნობიერებას შორის (Boratav, II, 1991: 70). ეპოსის გმირი მისი შემქმნელი ერის ღირებულებების მატარებელი და ამსახველი პერსონაჟია. რაგლანი, ტრადიციული გმირის ცნების განმარტებისას აღნიშნავს იმას, რომ ეპოსი კავშირშია რიტუალსა და მითთან. მისი მოსაზრებით ეპოსების გმირები იქმნებიან რიტუალებსა და მითებზე დაყრდნობით. გმირების ცხოვრებისეული თავგადასავლები

განსაზღვრულ შაბლონურ სიუჟეტშია მოთავსებული. ეს შაბლონური ტიპი თავის მხრივ მითოლოგიურ ტიპს წარმოადგენს (Raglan, 1998: 135).

ეპოსებში განვითარებული კუტლურული და დინამიური აქტივობები მთლიანად მთავარი გმირების მიერაა განხორციელებული. არ არსებობს მთავარი გმირის გარეშე არცერთი თქმულება თუ ეპოსი. ეპოსებში გადმოცემულია მათი მთავარი გმირების ცხოვრებისეული გამოცდილებები (Yıldırım, 1998b: 150). ეპოსები იგება მათი შემქმნელი ერების ღირებულებებზე და გადმოიცემა მთავარი გმირების მეშვეობით. ამა თუ იმ ერის კულტურული ღირებულებები ასახვას ჰპოვებს მხატვრულ ნაწარმოებში გადმოცემული გმირების თვისებებში და იმ მტრების მეშვეობით, რომელთა წინააღმდეგაც იბრძვიან ის გმირები. ეპოსებში შექმნილი გმირთა თვისებები წარმოადგენს მათი შემქმნელი ერების სასურველი თვისებების ჯამს. ერის მომავალი და კეთილდღეობა მთავარ გმირზეა დამოკიდებული. როგორც შ. იბრაიევი აღნიშნავს - გმირის ხვედრია სირთულეებთან მუდმივი ბრძოლა რასაც შემდეგი სახის გამოხატავს: "ხალხი საკუთარი ინტერესებისთვის იბრძვის, გმირი კი ყველას ინტერესისთვის იბრძვის" (İbrayev, 1998: 3). სირთულეებთან გამკლავებისთვის გმირი ძალას ხალხისგან იკრებს.

ეპოსთა გმირების ტიპები მარტივ ტიპებს წარმოადგენს. ყველა გმირს მსგავსი ამოცანა უდგას წინ. მიუხედავად იმისა, რომ იცვლება ადგილი, დრო და პერსონაჟები, მთავარი გმირი და მისი მტრები ყველა ეპიზოდში იდენტურ სიუჟეტშია ჩასმული. გარდა სიუჟეტური მსგავსებისა, გმირთა ფიზიკური თვისებებიც ერთმანეთის მსგავსია. მთავარი გმირი ჩვეულებისამებრ დიდ ფიზიკურ ძალას ფლობს. ეპოსის მთავარი გმირი იდეალური ტიპი და მიბაძვის ობიექტია. გმირის დანიშნულებაა გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლა და შიგნით კი ადამიანებისთვის ღირსეული ცხოვრების უზრუნველყოფა (İbrayev, 1998: 131). გმირებს გარშემო ჰყავთ დამხმარე პერსონაჟებიც თუმცა ისინი არასდროს არიან მთავარი გმირების მსგავსად აქტიურნი. ეპოსების გმირები იდეალური და სამაგალითო თვისებების მქონე პერსონაჟებს წარმოადგენენ. ამის მიზეზი ისაა, რომ მათში თავმოყრილია ყველა ის სასურველი სოციალურ-კულტურული ღირებულება, რომლის პროეცირებასაც ახდენს ესა თუ ის ერი. რადგანაც ეპოსები თაობიდან თაობას გადეცემა, მათში მოცემული ღირებულებები ერთგვარი კულტურული ყალიბის ფორმას იღებს და გმირებიც შესაბამის შაბლონურ ტიპებად

გვევლინებიან (Ekici, 2001a: 16). ამა თუ იმ ხალხის ერად ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია, რომ მან თავადვე განსაზღვროს მისი საუკეთესო თვისებები (Yamakoğlu, I, 1993). რადგანაც ეპოსი წარმოადგენს ხალხის მიერ შექმნილ ჟანრს, მასში ასახულია მისივე შემქმნელი ხალხის ეროვნული კულტურული ღირებულებები. იგი კულტურული ღირებულებების მაჩვენებელ საუკეთესო ჟანრს წარმოადგენს. ეპოსებში დახატული გმირები არიან იმ მენტალიტეტის მატარებელნი, რომელსაც თავად მათი შემქმნელი ხალხები ფლობენ. ზოგადად, სხვადასხვა ერების კულტურებში სტრუქტურული კუთხით გმირთა ტიპოლოგიაში მსგავსება შეიმჩნევა. ამის მიზეზად კი შეიძლება მივიჩნიოთ სხვადასხვა ეპოქებში ერთი და იგივე საფეხურების გავლაა. ეპოსი წარმოადგენს ისეთ ლიტერატურულ ჟანრს, რომელიც ზეპირი სახით თაობიდან თაობას გადეცემა. ზეპირის სახით თაობიდან თაობაზე გადაცემული ეპოსები, შეიცავენ რა მათი შემქმნელი ერების გეოგრაფიულ და კულტურულ თავისებურებებს, იძენენ ეროვნული თვით-იდენტიფიკაციის ფუნქციას. მათი გმირები განასახიერებენ იდეალურ ადამიანურ თვისებებს, სარწმუნოებრივ და ეროვნულ ღირებულებებს (Duran, 2004: 79). თურქმენულ ეპოსებშიც მთავარი გმირები წარმოადგენენ სხვებისათვის მისაბაძ მოდელებს. პერსონაჟთა თვისებები წარმოადგენენ ამა თუ იმ ერის დადებითი ან/და უარყოფითი თვისებების ჯამს. “პერსონაჟებს ჰქმნიან ამა თუ იმ საზოგადოებაში არსებული რეალური მიდრეკილებები“ (Kaplan, 2014: 51). პერსონაჟების ფორმირება ხდება საზოგადოებათა ცხოვრების სტილისა და პირობების შეერთებით.

თურქმენულ ეპოსებში ყოველთვის გამოიყოფა მთავარი გმირი. ესა თუ ის ერი საკუთარი ეპოსის მეშვეობით გადმოსცემს საკუთარ ცხოვრებისეულ ფილოსოფიას და მის მატარებლად ხდის მთავარ გმირს. ნებისმიერი მოსაზრება, გრძნობა, ქება თუ ზრახვა გამოხატულებას ჰპოვებს მთავარი გმირის მეშვეობით. მთავარი გმირები წარმოადგენენ მათ მშობელ ხალხს და სწორედ მათგან იღებენ ძალას. მათ მიერ აღსრულებული ყოველი ქმედება ხალხის მიერ მოწონებული და წახალისებულია.

კვლევის ლიმიტაციები

ეპოსებს, რომლებიც თურქულ ენოვან ხალხთა საერთო ლიტერატურული ჟანრია, მონიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ აგრეთვე თურქმენულ ლიტერატურაშიც. პოსები წარმოადგენენ მათი შემქმნელი ერების კულტურული თავისებურებების ამსახველ ლიტერატურულ ჟანრს. ზოგადად, თურქმენული ეპოსები სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით იქნა მოპოვებული. ამ ტიპის ეპოსები დახელოვნებული მწერლებისა და მთხრობელების მიერ იწერება და ისინი მნიშვნელოვნად ამდიდრებენ თურქმენულ კულტურას, როგორც ასეთს.

თურქმენული ეპოსი წარმოდგენილია როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით. წერილობითი სახის ეპოსებს წარმოადგენენ: ნურმუჰამმედ ანდალიფ, მოლლანეფეს, მაგრუფი, შაბენდე, შეიდაი და სხვა მწერლების ნაწარმოებები. ზეპირი ეპოსები კი იქედან გამომდინარე, რომ მთხრობელთა მიერ იყო გადმოცემული, არ იქნა ჩაწერილი და დაფიქსირებული შესაბამისად. აღსანიშნია ის გარემოება, რომ მაშინ, როდესაც კაზახური, უზბეკური, აზერბაიჯანული და სხვა თურქულენოვანი ეპოსები ჩაწერილი და შესწავლილია შესაბამისად, თურქმენულ ეპოსთან დაკავშირებით ასეთი სახის სამუშაოები არ ჩატარებულა. განსაკუთრებით აღსანიშნია ის, რომ თურქმენული ეპოსი არ არის შესაბამისად შესწავლილი. შესაბამისად, თურქმენული ეპოსების "დოვლეთიარ", "ჰოჯამბერდი ჰან", "შაბეჰრამ", "ჰელალაი - გარიფ" და "მელიქე დილარამ"-ის ტიპოლოგიური ანალიზი იქნება წინ გადადგმული ნაბიჯი აღნიშნული ნაკლის აღმოსაფხვრელად.

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია თურქმენული ეპოსების "დოვლეთიარ", "ჰოჯამბერდი ჰან", "შაბეჰრამ", "ჰელალაი - გარიფ" და "მელიქე დილარამ"-ის ტიპოლოგიური ანალიზი. აღნიშნულ კონტექსტში მოვახდინეთ ტერმინ "დესტან"-ის განმარტება და მსგავსი ტერმინებისა და ცნებების კატეგორიზაცია, აგრეთვე ეპოსური გადმოცემების მთხრობელთა დახასიათება. ეპოსებში მოცემული პერსონაჟების თვისებების ტიპოლოგიური კვლევის პარალელურად ჩვენ მიზნად ვისახავთ შემდეგს:

(i) თურქმენული ეპოსის მთავარი გმირის პარალელურად გაანალიზებულ იქნება ქალის, ცხენისა და მტრის პერსონაჟები. ეპოსების "დოვლეთიარ", "ჰოჯამბერდი ჰან", "შაბეჰრამ", "ჰელალაი - გარიფ" და "მელიქე დილარამ"-ის მთავარი გმირები გაანალიზებულია თურქმენული ეპოსების ზოგადი გმირების თვისებების შესაბამისად.

(ii) ხუთი ეპოსის მთავარი გმირები და მათი თვისებები სათითაოდაა გაანალიზებული. მთავარი გმირების პარალელურად გაანალიზებულია აგრეთვე დამხმარე გმირები და მტრების ტიპებიც. გამოვლენილია თურქმენულ ეპოსებში არსებული მეორადი პერსონაჟების ტიპოგიური მსგავსებები და განსხვავებები.

(iii) ეპოსების პერსონაჟთა ტიპოლოგიური მსგავსებებისა და განსხვავებების გამოვლენას დიდი მნიშვნელობა აქვს თურქმენული ეპოსის მრავალფეროვნების დემონსტრირების მხრივ. თურქმენული ეპოსების პერსონაჟთა ტიპოლოგიური შესწავლა გააადვილებს სხვა თურქულენოვანი ეპოსების გმირებთან მათ შედარებას.

კვლევის აქტუალობა

თურქმენულ ეპოსთან დაკავშირებით დაწერილია მრავალი მეცნიერული სტატია, სადისერტაციო ნაშრომი თუ წიგნი. მათი უმრავლესობა ეთმობა მოტივების ანალიზს, შედარებით ანალიზსა და გრამატიკულ წყობას. ტიპოლოგიური ანალიზის კუთხით არ არსებობს სამკარისი რაოდენობის ნაშრომი. თურქმენული ეპოსების "დოვლეთიარ", "ჰოჯამბერდი ჰან", "შაბეჰრამ", "ჰელალაი - გარიფ" და "მელიქე დილარამ"-ის ტიპოლოგიური ანალიზი და ეპოსთა გმირების ტიპოლოგიზაციის სამუშაო დღემდე არ ჩატარებულა. მოცემული ნაშრომის მიზანია ხუთი თურქმენული ეპოსის ტიპოლოგიური კუთხით შესწავლა და გამოვლენილი ტიპების/პერსონაჟების ანალიზი. აღნიშნულ კვლევას მნიშვნელობას სძენს ის გარემეობა, რომ დღემდე არ ჩატარებულა ზემოთაღნიშნული თურქმენული ეპოსების ტიპოლოგიური ანალიზი.

კვლევის თეორიული მნიშვნელობა

მოცემული ნაშრომი შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა თურქულენოვანი ხალხების ეპოსების საკვლევად და თურქული ფილოლოგიის სპეციალობაზე, როგორც დამხმარე მასალა.

კვლევის მოცულობა და ლიმიტაციები

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მრავალი თურქმენული ეპოსი, ეპოსების "დოვლეთიარ", "ჰოჯამბერდი ჰან", "შაბეჰრამ", "ჰელალაი - გარიფ" და "მელიქე დილარამ"-ის ტიპოლოგიური ანალიზი დღემდე არ ჩატარებულა. კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა თურქმენული ეპოსების შესახებ არსებული ლიტერატურა რომელიც მოძიებულ იქნა თურქმენეთსა და თურქეთის რესპუბლიაში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში. მასალა მოვიძიეთ სხვადასხვა არქივებში წიგნების, სადისერტაციო ნაშრომების, ჟურნალებისა დასტატიების სახით. კვლევის ფარგლებში გამოვიყენეთ კვლევის საგან ხუთი თურქმენული ეპოსის ორიგინალი (თურქმენული) ვარიანტები. გარდა ამისა გამოვიყენეთ აღნიშნულ ეპოსებთან დაკავშირებული სხვადასხვა წერილობითი მასალები თურქმენეთსა და თურქეთის რესპუბლიკაში.

კვლევის სიახლე

ეპოსები წარმოადგენენ ზეპირი ან წერილობითი სახით ერების წარსულის გადმომტან ლიტერატურულ ჟანრს. ეპოსში მოცემულია მისივე შემქმნელი ხალხის ყველა კულტურული ღირებულება. ამასთანავე, ეპოსები გადმოცემენ იმ ეპოქათა სოციალურ, კულტურულ და მენტალურ თავისებურებებს რომლებშიც ისინი შეიქმნენ. მათში დახატული პერსონაჟები საკუთარ თავებში აერთიანებენ ყველა იმ საუკეთესო თვისებას რომელიც მათ შემქმნელ ხალხებს იდეალად აქვთ დასახული. მთავარი გმირები ერთა სოციალურ-კულტურულ ღირებულებებს ერთიანად წარმოაჩენენ და ისინი აგრეთვე ასახავენ რელიგიურ თუ მორალურ-ეთიკურ მოსაზრებებსაც. ამ მხრივ მნიშვნელოვანია თურქმენული ეპოსების "დოვლეთიარ", "ჰოჯამბერდი ჰან", "შაბეჰრამ", "ჰელალაი - გარიფ" და "მელიქე დილარამ"-ის ტიპოლოგიური ანალიზის ჩატარება რათა

გამოვლინდეს თურქმენული ეთნოსის სოციალურ-კულტურული ღირებულებითი სისტემა.

1. ნაწილი

ეპოსების წარმოშობა და მახასიათებლები

ეპოსები გადმოცემენ მათი შემქმნელი ხალხის სოციალურ, კულტურულ და მენტალურ მახასიათებლებს. მკვლევარი ქარა დუზგუნი მიიჩნევს, რომ ეპოსების მთავარი გმირები წარმოადგენენ იმ ეპოქების იდეალური ადამიანის ტიპს, როდესაც ისინი შეიქმნენ და შესაბამისად, მთავარი გმირები ასახავენ არა ეპოსების რიგით ტიპაჟებს, არამედ მისი შემქმნელი ხალხის ცხოვრების სტილსა და მსოფლმხედველობას (Kara Düzgün, 2014: 1).

ეპოსების გმირები არიან ისეთი პერსონაჟები, რომლებიც თავის თავში აერთიანებენ ამა თუ იმ ერის საუკეთესო ადამიანურ თვისებებს, სარწმუნოებრივ და ეროვნულ ღირებულებებს. თურქმენულ ეპოსებშიც მთავარი გმირები იდეალური ადამიანური ტიპები არიან. მთავარ გმირთა თვისებები ასახავს ერთა დადებით და ესთეტიკურ ღირებულებებს. გმირები წარმოიშვნენ ამა თუ იმ ერის ცხოვრების სტილიდან და სასიცოცხლო გარემოებებიდან. "ნაწარმოებში გვაქვს მთავარი პერსონაჟები (გმირები) და სხვა დამხმარე პერსონაჟები" (Yıldırım, 1999: 17-18). ეპოსებში ცენტრალურ ადგილს მთავარი გმირები იკავებენ. დანარჩენი პერსონაჟები კი მთავარ გმირთა მიერ მიზნის მიღწევაში დამხმარე მეორადი პერსონაჟები და მისი მტრები არიან.

"პერსონაჟი" იმ კულტურის ღირებულებების მატარებელია, რომელმაც იგი შექმნა. პერსონაჟები გარკვეული ყალიბის ფარგლებში იქმნებიან. ისინი შეიძლება ეპოქების პარალელურად შეიცვალონ, განიცადონ ტრანსფორმაცია. მხატვრულ პერსონაჟებთან დაკავშირებით მრავალი კვლევა ჩატარდა. მათგან ერთერთია მეჰმეთ ქაფლანი, რომელიც პერსონაჟს შემდეგნაირად განსაზღვრავს: "მხატვრულ ნაწარმოებში "პერსონაჟის" ცნება

განსხვავდება რიგითი მოქმედი პირის ცნებისგან. პერსონაჟი (გმირი) სოციალურად მნიშვნელოვანი პერსონაა. იგი საკუთარ თავში მისივე შემქნელი ხალხის უმაღლეს ღირებულებებს აერთიანებს“ (Kaplan, 2014: 5). ტრადიციულ პერსონაჟთან დაკავშირებულ ერთერთ უმთავრეს ნაშრომში სახელწოდებით “გმირი“, ლ. რაგლანი იყენებს ტიპოლოგიის მეთოდს. აღნიშნულია, რომ ხსენებული მეთოდი გამოყენებულ უნდა იქნას ეპიკური ჟანრის ზეპირსიტყვიერების ნაწარმოებების ანალიზისას (Raglan, 1949: 136-138). ჯ. ქემფბელი, რომელიც ფოლკლორულ ნაწარმოებებს ფსიქოანალიტიკური მიდგომის მეშვეობით განიხილავს, მთავარ გმირს განსაზღვრავს, როგორც “ჩვეულებრივი ადამიანური თვისებების შინაგანი და გარეგანი კონფლიქტის მეშვეობით დამძლევ ქალ ან კაც პერსონაჟად“ (Campbell, 2013: 30). “გმირი იქმნება ექსტრაორდინალური სიუჟეტის განვითარების შედეგად“ (Kara Düzgün, 2014: 73). გმირი საზოგადოებისთვის ინსპირაციის წყაროა. მკვლევარები მ. ბოვრა და ჯ. ფონტენროსი გმირის პერსონაჟის წარმოქმნას “შამანის“ ცნებას უკავშირებენ, ჯ. გ. ფრაზერი კი მის პროტოტიპად “ქადაგს“, “მოძღვარ-მმართველს“ მიიჩნევს (Bowra, 1952: 91-131).

ეპოსებში შექმნილი გმირთა თვისებები წარმოადგენს მათი შემქმნელი ერების სასურველი თვისებების ჯამს. ერის მომავალი და კეთილდღეობა მთავარ გმირზეა დამოკიდებული. როგორც შ. იბრაიევი აღნიშნავს - გმირის ხვედრია სირთულეებთან მუდმივი ბრძოლა რასაც შემდეგი სახის გამოხატავს: “ხალხი საკუთარი ინტერესებისთვის იბრძვის, გმირი კი ყველას ინტერესისთვის იბრძვის“ (İbrayev, 1998: 3). სირთულეებთან გამკლავებისთვის გმირი ძალას ხალხისგან იკრებს.

თურქმენული ეპოსის შესახებ ჩატარებული კვლევები

ფითს როი რიჩარდ სომერსეტ რაგლანი თავის ნაშრომში სახელწოდებით “ტრადიციული გმირის ტიპი“ (Raglan,1998) აანალიზებს თურქმენულ ეპოსს სახელწოდებით “გმირის ცნება ეპოსებში და მათი მახასიათებლები“, ქვეთავში სახელწოდებით “ ტიპოლოგია ეპოსებში“. გამოყენებულია აგრეთვე შემდეგი უცხოელი ავტორების ნაშრომები: თომას კარლილის “გმირები“ (Carlyle, 2004). ს. მ. ბრაუნის “საგმირო პოეზია“ (Bowra 1952). ე. მ. მელეტინსკის სხვადასხვა სტატიები. ჯოზეფ ქემფბელის “გმირის უსასრულო მოგზაურობა“ (Campbell, 2013). ეპოსებში მოყვანილი

პერსონაჟები მათი შემქმნელი ხალხების ქვეცნობიერ მიდრეკილებებს განასახიერებენ. ეპოსი თაობიდან თაობას გადაეცემა და განიცდის ცვლილებებს. (Campbell, 2013: 13-59).

მ. ქაფლანი თავის ნაშრომი "თურქული ლიტერატურის კვლევები III, პერსონაჟთა ანალიზი (Kaplan, 2014) იკვლევს თურქული ლიტერატურის მხატვრულ სახეებს, რომლებსაც მასში დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ეპოსებში მოცემული პერსონაჟები საკუთარ თავში ატარებენ და ასახავენ იმ ხალხთა ცნობიერებაში დამალულ მოვლენებს, რომლებმაც ისინი შექმნეს. ეპოსი წარმოადგენს ისეთ ლიტერატურულ ჟანრს, რომელიც თაობიდან თაობაზე ზეპირი გადმოცემით ვრცელდება. ეპოსები გარკვეული გეოგრაფიული არეალისა და კულტურების გავლენით ასახავენ კონკრეტულ ხალხთა ეროვნულ თავისებურებებს.

თურქმენულ ეპოსებზე დაწერილი ნაშრომები

რუსეთის იმპერიის მიერ თურქმენეთის დაპყრობის შემდეგ რუსი არქეოლოგები თურქმენეთში მოგზაურობდნენ. რუსმა მკვლევარებმა თურქმენეთის სხვადასხვა მხარეში შეგროვებული ეთნოლოგიური მასალები გამოაქვეყნეს წიგნებში, ,ჟურნალებში და გაზეთებში.

1920-1991 წლებს შორის თურქმენული ეპოსი შეისწავლეს: რუსმა მკვლევარებმა ვ. ბართოლდმა, ა.ნ. სამოილოვიჩმა, ვ. უსპენსკიმ, ვ. ბელაიევმა, პ. სკოსირევმა, გ. ვესელოვმა, ე.ი. ბერტელსმა, ვ.მ. ჟირმუნსკიმ, ნ.კ. დმიტრიევმა, ნ.ფ. ლებედევმა. თურქმენი მკვლევარებიდან: ჰ.გ. ქოროგლიმ, აბდიჰექიმ გულმუჰამმედოვმა, ბ.ა. გარრიევმა, ა. ქექილოვმა, მ.ა. საქალიმ, ა. ს. მირბადელევამ, ბ. მამმეთიაზოვმა, მეთი ქოსეიევმა, ა. აშიროვმა, ს. გარრიევმა. ნაშრომები გამოქვეყნებულია წიგნებისა თუ სტატიების სახით, აგრეთვე სხვადასხვა გაზეთებსა და ჟურნალებშიც. აღნიშნულ პერიოდში თურქმენული ეპოსი შეისწავლებოდა საბჭოთა იდეოლოგიის ცენზურის ქვეშ. რიგი ეპოსების გამოქვეყნება აიკრძალა იდეოლოგიური წნეხის გამო.

თურქმენეთმა დამოუკიდებლობა 1991 წელს მოიპოვა. იქედან მოყოლებული დაიწყეს მანამდე აკრძალული ეპოსების გამოქვეყნება. შეიქმნა ხელნაწერთა ეროვნული ინსტიტუტი და კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული ცენტრი. ამ უკანასკნელის

ფარგლებში ანნაგურბან აშიროვის, ქააბე ბორჯაქოვას, ამანმირათ ბაიმირადოვის, ამანგიულ გარრიევას, ქაქაჯან დურდუევის მიერ გამოიცა სხვადასხვა ნაწარმოებები. მიმდინარე წელს თურქეთსა და სხვა ქვეყნებში ჩატარდა კვლევები თურქმენულ ეპოსთან დაკავშირებით. თურქი მკვლევარებიდან აღსანიშნავია: ნერინ ქიოსე, მეთინ ექინჯი, ფიქრეთ თურქმენ, ისა ოზქან, მუსტაფა არსლან, ალი დუიმაზ, ნაჯიე ილდიზ, ალი ბერათ ალფთექინ, აჰმეთ გიოქჩიმენ, ჰ. იბრაჰიმ შაჰინ.

2. ნაწილი

თურქმენულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში ეპოსის განსაზღვრება

ეპოსი წარმოადგენს ხალხური ზეპირსიტყვიერების ისეთ სახეს, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა მთხრობელებისა და მგოსნების მეშვეობით და რომლების გადმოგცვემენ ამა თუ იმ ერის ცხოვრებაში მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებს - ომი, მიგრაცია, სოციალური თუ ბუნებრივი მოვლენები და სხვა. თურქმენული ეპოსები შემდეგი სახის ეპოსებად იყოფა: “Destan (ეპოსი)”, “Epos, Şa Dessan” (ეპიკური საგა), “Avtorlu Destan” (ავტორის მქონე ეპოსი), “Anonim Destan” (ანონიმური ეპოსი), “Halk Destanı” (ხალხური ეპოსი), “Gahrımançılıklı Halk Destanı” (ხალხური საგმირო ეპოსი), “Erteki Eposu” (საგმირო ეპოსი).

ეპოსი: თურქმენულ ფოლკლორში ფართო მნიშვნელობით გამოიყენება: “ლექსის ფორმით დაწრილი ლიტერატურული ნაწარმოები“ (Hamzayev, vd. 1962: 252). იგივე ტერმინი თურქმენულ საბჭოთა ენციკლოპედიაში განისაზღვრება როგორც საგმირო, სასიყვარულო და ფანტასტიკური შინაარსის ფოლკლორული ნაწარმოები (T.S.E.3, 1981: 131). თურქმენულ ლიტერატურთმცოდნეობაში ტერმინი destan” უფო ინტენსიურად გამოიყენება.

ავტორის მქონე ეპოსი: თურქმენულ ლიტერატურაში ეპოსები ორად იყოფა:ა) ავორის მქონე ეპოსი და ბ) ანონიმური ეპოსი. ავტორებისა და მათი ნაწარმოებების მაგალითებია: ნურმუჰამმეთ ანდალიფ-ის “ოღუზნამა“, “ლეილი-მეჯნუნ“, “იუსუფ-ზულეიჰა“, “ზეინელ არაფ“, “ბაბა როვშენ“. შეიდალი: “გიულ-სენუბერ“. აბდილლა შაბენდე: “გიულ-ბილბილ“, “შაბეჰრამ“. გურბანალი მაგრუფი: “დოვლეთიარ“, “იუსუფ-

აჰმეთ“, “თულუმ ჰოჯა“, “სეიფელმელექ-მედჰალჯემალ“, “ალი ბეგ-ბალი ბეგ“. მოლლან ფეს: “ზოჰრე-თაჰირ“.

ანონიმური ეპოსი: იმ ეპოსებს, რომელთა ავტორები ცნობილი არ არის, ანონიმური ეპოსები ეწოდებათ. ასეთების მაგალითებია: ‘‘გოროღლი‘‘, ‘‘შასენემ-გარიფ‘‘, ნეჯეფ-ოღლან‘‘, ‘‘ჰიურლუქგა-ჰემრა‘‘ და სხვა. მთრობელთა მიერ ისინი გამუდმებით იხვეწებოდა და ჩვენამდე მოაღწია (Mämmetyazov, 1998: 42)

თურქმენული ტერმინ: თურქული ანალოგია ეპიკური ნაწარმოები (epik eseri) და წარმოადგენს საგმირო თემატიკის შემცველ ნაწარმოებს.

საგმირო ეპოსი: თურქმენულ საგმირო თემატიკის ზღაპრებს ეწოდება. სხვადასხვა თურქულენოვან ხალხებში ტერმინის ანალოგებია: ალტაურ, თივა, ჰაკასურ, ყაზახურ, თათრულ და ბაშქურთულ ენებში - “mögelik tool” ,”batırlık ertegi”, “batırlar turındagı ekiyetler”, “batırlar turahındagı ekiyetler/tılsımlı ekiyetler”.

თურქმენულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში ეპოსის კლასიფიკაცია

თურქმენულ ეპოსთან დაკავშირებით კვლევები ჩატარებულია როგორც თურქმენეთში, ისე მის გარეთაც. იგი შესწავლილია შინაარსის, ფორმის, წარმოშობისა და ჟანრების მიხედვით. სეით გარრიევ-ს მნიშვნელოვანი კვლევები აქვს ჩატარებული თურქმენული ეპოსის შესწავლის კუთხით. იგი ეპოსებს ექვს კატეგორიად ჰყოფს. რიგ ეპოსებს იგი შინაარსის მიხედვით ჰყოფს, სხვებს კი წარმოშობის მიხედვით. სასიყვარულო ეპოსები მან დაჰყო რეალისტურ სასიყარულო ეპოსებად და ფანტასტიკურ სასიყვარულო ეპოსებად. იგი ამტკიცებს, რომ ისინნი განსხვავებულ ჟანრებს მიეკუთვნება (Garrıyev, 1982: 38-54).

3. ნაწილი

კვლევის მეთოდოლოგია

ფოლკლორზე მუშაობისას გამოიყენება კვლევის სხვადასხვა მეთოდიკა. ანალიზის, მეთოდიკისა და ტექნიკის მხრივ გამოყენებულაი ფინ-ის თეორია და პრუპ-ის მეთოდი ხალხური ლიტერატურის კვლევის პროცესში. ტექსტებისა და ტექსტთა შორისი ანალიზის პარალელურად გამოყენებულია სხვა მეთოდებიც რის შედეგადაც მივიღეთ შესაბამისი შედეგები. კვლევის ფარგლებში გამოვიყენეთ სტის ტომფსონის " ხალხური ლიტერატურის მოტივთა ინდექსი" და საიმ საქაოღლუს "ანატოლიურ-თურქულ თქმულებებში გაქვავების მოტივი და ამ ლეგენდათა ტიპოლოგიური კატალოგი".

კვლევის მოდელი - თურქმენული ეპოსის მთავარი გმირის წარმოსობა და მახასიათებლები

ეპოსების გმირები არიან ისეთი პერსონაჟები, რომლებიც თავის თავში აერთიანებენ ამა თუ იმ ერის საუკეთესო ადამიანურ თვისებებს, სარწმუნოებრივ და ეროვნულ ღირებულებებს (Duran, 2004: 79). თურქმენულ ეპოსებშიც მთავარი გმირები იდეალური ადამიანური ტიპები არიან. მთავარ გმირთა თვისებები ასახავს ერთა დადებით და ესთეტიკურ ღირებულებებს. "გმირები იქმნება ერთა რეალური გამოცდილებების საფუძველზე" (Kaplan, 2014: 51). გმირები წარმოიშვნენ ამა თუ იმ ერის ცხოვრების სტილიდან და სასიცოცხლო გარემოებებიდან. "ნაწარმოებში გვაქვს მთავარი პერსონაჟები (გმირები) და სხვა დამხმარე პერსონაჟები" (Yıldırım, 1999: 17-18). ეპოსებში ცენტრალურ ადგილს მთავარი გმირები იკავებენ. დანარჩენი პერსონაჟები კი მთავარ გმირთა მიერ მიზნის მიღწევაში დამხმარე მეორადი პერსონაჟები და მისი მტრები არიან.

არჩევითი მეთოდი

კვლევის ნიმუშს წარმოადგენენ ეპოსებთან დაკავშირებული ტიპოლოგიური სახის ნაშრომები. საკვლევი ნიმუშებია თურქმენულ ეპოსებში დოვლეთიარ, ჰოჯამვერდი ჰან, შაბეჰრამ, ჰელალაი გარიბ და მელიქე დილარამ-ში მოყვანილი მთავარი პერსონაჟები და მათი მახასიათებლები.

მონაცემთა მოძიება და ანალიზი

იმის პარალელურად, რომ ეპოსების მთავარი გმირები მსგავს მხატვრულ სახეს ქმნიან, მეორადი და უარყოფითი პერსონაჟებიც შეიძლება მსგავსებას ავლენდნენ. მაგალითად ორ განსხვავებულ ნაწარმოებში - ოღუზ-ის ეპოსში ირქილ ჰოჯა და დედე ქორქუთ-ში დედემ ქორქუთი მისიების მიხედვით იდენტურ გმირებს წარმოადგენენ, შესაბამისად, ისინი ტიპოლოგიურად ერთ პერსონაჟს ქმნიან. აღნიშნული მახასიათებლიდან გამომდინარე ვ. მ. ჟირმუნსკი ეპოსის პერსონაჟებს "ჭადრაკის ფიგურებს" ადარებს. მსგავსად ჭადრაკისა, ეპოსის გმირებსაც განსაზღვრული ფუნქციები გააჩნიათ (Çobanoğlu, 2007: 100).

ფითს როი რიჩარდ სომერსეტ რაგლანი თავის ნაშრომში სახელწოდებით "ტრადიციული გმირის ტიპი" (Raglan,1998) აანალიზებს თურქმენულ ეპოსს თასი სახელწოდებით "გმირის ცნება ეპოსებში და მათი მახასიათებლები", ქვეთავში სახელწოდებით " ტიპოლოგია ეპოსებში". გამოყენებულია აგრეთვე შემდეგი უცხოელი ავტორების ნაშრომები: თომას კარლილის "გმირები" (Carlyle, 2004). ს. მ. ბრაუნის "საგმირო პოეზია" (Bowra 1952). ე. მ. მელეტინსკის სხვადასხვა სტატიები. ჯოზეფ ქემფბელის "გმირის უსასრულო მოგზაურობა" (Campbell, 2013). მ. აჩას "თურქული ეპოსის ჰოლისტიკური კუთხით შესწავლა და ალფ-ის ცნებისადმი სხვადასხვა მიდგომები" (Açа, 2000).

თურქმენული ეპოსების მთავარ პერსონაჟთა თვისებები:

1. მთავარი გმირის დაბადება წინასწარაა განსაზღვრული.
2. მთავარი გმირი არის ცნობილი ოჯახის შვილი.
3. როგორც წესი, მთავარი გმირი ოჯახის ერთადერთი ბავშვია (რიგ შემთხვევაში შეიზლება იყოს ყველაზე უფროსი ან უმცროსი შვილი).
4. მთავარი გმირის ბავშვობის შესახებ ბევრი ცნობა არ მოიცემა, როგორც წესი თხრობა გადადის მის ზრდასრულობაზე.
5. მთავარი გმირისათვის სახელის მიმცემი ცნობილი, პატივცემული პირია, სახელს კი საკრალური დატვირთვა გააჩნია.

6. მთავარ გმირს ზებუნებრივი ძალა აქვს და მას გარეული ცხოველების სახელებით მოიხსენიებენ.
7. თურქმენულ ეპოსებში ნადირობას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.
8. მთავარ გმირს იცავენ ზეციური ძალები (ფერია, ჯადოქარი ...)
9. მთავარი გმირის უმთავრესი დამხმარე მისი ცხენია.
10. მთავარი გმირი ერთვება თავგადასავალში საკუთარი იდეალის განხორციელების ან იძულების მიზნით.
11. მთავარი გმირი თავგადასავლის შემდეგ სამშობლო მხარეს ტოვებს.
12. როგორც წესი, მთავარი გმირი რთულ წუთებში მარტოა.
13. მთავარი გმირი მამაცია.
14. მთავარი გმირი მრავალ დაბრკოლებას ხვდება.

14.1. ფანტასტიკური არსებები: დევები, დრაკონები, ფერიები...

14.2. ბოროტად განწყობილი ნათესავები და ნაცნობები: მამა, ძმა-და, მეუღლე, მეგობარი...

14.3. ცუდი მმართველები: ფადიშაჰი, ვეზირი...

14.4. ჯადო, მანიპულაცია.

15. მთავარი გმირი ბრძოლის პროცეში ჩადის ქვესკნელში და ადის ზეცაში. ზოგიერთ ეპოსში სიკვდილის შემდეგ აღსდგება.
16. ბრძოლის პროცესში სხვა პერსონაჟებისგან იღებს დახმარებას.
17. იცნობს მომავალ მეუღლეს.
18. წარმატებით უმკლავდება სირთულეებს.
19. მთავარი გმირი კვდება.
20. მისი სიკვდილის შემდეგ ბრძოლას აგრძელებენ მისი შვილები და შვილიშვილები.

თურქმენულ ეპოსებში დამხმარე/მეორადი პერსონაჟები

“დამხმარე/მეორადი პერსონაჟები“ ეწოდება ისეთ პერსონაჟებს, რომლებიც მთავარ გმირებს დახმარებას უწევენ მიზნის მისაღწევ გზაზე.

თურქმენულ ეპოსებში მეორადი/დამხმარე პერსონაჟები არიან: ცხენი, ორმოცი ვაჟკაცი, ქალი, ვაჭარი, მოგზაური, მწყემსი, ბრძენი კაცი და სხვა.

მტრის ტიპი თურქმენულ ეპოსებში

თურქმენულ ეპოსებში მტრებად ითვლებიან ის პირები/არსებები, რომლებიც იწვევენ ქაოსს, განშორებას, ძალადობას. ისინიც იყოფიან რიგით ადამიანებად და ფანტასტიკურ არსებებად.

4. ნაწილი

მოცემულ ნაწილში ტიპოლოგიური თვალსაზრისით განხილულია თურქ-მენული ეპოსები "დოვლეთიარ", "ჰოჯამბერდი ჰან", "შაბეჰრამ", "ჰელალაი - გარიფ" და "მელიქე დილარამ". თითოეული ეპოსიდან მოყვანილია გარკვეული ეპიზოდები და მოსაზრებები შესაბამისი კვლევებიდან. მთავარი გმირის პერსონაჟი განხილულია ქვემოთ მოცემული მახასიათებლების მიხედვით.

თურქმენული ეპოსების მთავარი გმირების დახასიათება მთავარი პერსონაჟების თვისებების მიხედვით

1. მთავარი გმირის დაბადება წინასწარაა განსაზღვრული.
2. მთავარი გმირი არის ცნობილი ოჯახის შვილი.
3. როგორც წესი, მთავარი გმირი ოჯახის ერთადერთი ბავშვია (რიგ შემთხვევაში შეიზლება იყოს ყველაზე უფროსი ან უმცროსი შვილი).
4. მთავარი გმირის ბავშვობის შესახებ ბევრი ცნობა არ მოიცემა, როგორც წესი თხრობა გადადის მის ზრდასრულობაზე.
5. მთავარი გმირისათვის სახელის მიმცემი ცნობილი, პატივცემული პირია, სახელს კი საკრალური დატვირთვა გააჩნია.
6. მთავარ გმირს ზებუნებრივი ძალა აქვს და მას გარეული ცხოველების სახელებით მოიხსენიებენ.
7. თურქმენულ ეპოსებში ნადირობას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.
8. მთავარ გმირს იცავენ ზეციური ძალები (ფერია, ჯადოქარი ...)

9. მთავარი გმირის უმთავრესი დამხმარე მისი ცხენია.
10. მთავარი გმირი ერთვება თავგადასავალში საკუთარი იდეალის განხორციელების ან იძულების მიზნით.
11. მთავარი გმირი თავგადასავლის შემდეგ სამშობლო მხარეს ტოვებს.
12. როგორც წესი, მთავარი გმირი რთულ წუთებში მარტოა.
13. მთავარი გმირი მამაცია.
14. მთავარი გმირი მრავალ დაბრკოლებას ხვდება.

14.1. ფანტასტიკური არსებები: დევები, დრაკონები, ფერიები...

14.2. ბოროტად განწყობილი ნათესავები და ნაცნობები: მამა, ძმა-და, მეუღლე, მეგობარი...

14.3. ცუდი მმართველები: ფადიშაჰი, ვეზირი...

14.4. ჯადო, მანიპულაცია.

15. მთავარი გმირი ბრძოლის პროცეში ჩადის ქვესკნელში და ადის ზეცაში. ზოგიერთ ეპოსში სიკვდილის შემდეგ აღსდგება.
16. ბრძოლის პროცესში სხვა პერსონაჟებისგან იღებს დახმარებას.
17. იცნობს მომავალ მეუღლეს.
18. წარმატებით უმკლავდება სირთულეებს.
19. მთავარი გმირი კვდება.
20. მისი სიკვდილის შემდეგ ბრძოლას აგრძელებენ მისი შვილები და შვილიშვილები.

მთავვარი გმირების პარალელურად განხილულია მეორადი/დამხმარე პერსონაჟებიც. მეორად პერსონაჟები ორ კატეგორიადაა დაყოფილი: პირველი - დამხმარე, მეორე კი მტრის პერსონაჟები. ჩვენს მიერ შესწავლილ ეპოსებში გვხვდება ორივე ტიპის პერსონაჟი.

ჩვენს მიერ განხილულ ეპოსებში მოყვანილი დამხმარე და მტრის პერსონაჟები:

დოვლეთიარის ეპოსში მეორადი/დამხმარე პერსონაჟები არიან: ცხენი, ორმოცი ვაჟკაცი, ქალი, ვაჭარი, მოგზაური, მწყემსი, ბრძენი კაცი და სხვა. აგრეთვე გვხვდებიან მტრის პერსონაჟებიც: ქიზილბაში, ცბიერი და სხვა.

ჰოჯამბერდის ეპოსში დამხმარე პერსონაჟებია: მეუღლე, ძმა, ფადიშაჰი.

შაბეჰრამის ეპოსში - დადებითი/დამხმარე პერსონაჟები: კეთილი დევი, ფერია, ფუნდუკის მეპატრონე. უარყოფითი პერსონაჟები: ცუდი დევი, ბოროტი ვეზირი.

ჰელალაი-გარიფის ეპოსი - დადებითი პერსონაჟები: დედა, ფადიშაჰი, შეყვარებული, მოსამსახურე ქალი. უარყოფითი პერსონაჟი: მამ (ფადიშაჰი).

მელიქე დილარამის ეპოსში - დადებითი პერსონაჟები: მოხუცი (მამა), ქენან (ფადიშაჰი). მტრის პერსონაჟები: მამა (ფადფიშაჰი), დედა და ბოროტი ყასაბი: უარყოფითი პერსონაჟები.

დასკვნები და რეკომენდაციები

ეპოსი წარმოადგენს ხალხური ზეპირსიტყვიერების ისეთ სახეს, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა მთხრობელებისა და მგოსნების მეშვეობით და რომლების გადმოგცვემენ ამა თუ იმ ერის ცხოვრებაში მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებს - ომი, მიგრაცია, სოციალური თუ ბუნებრივი მოვლენები და სხვა. ზეპირის სახით თაობიდან თაობაზე გადაცემული ეპოსები, შეიცავენ რა მათი შემქმნელი ერების გეოგრაფიულ და კულტურულ თავისებურებებს, იძენენ ეროვნული თვით-იდენტიფიკაციის ფუნქციას. მათი გმირები განასახიერებენ იდეალურ ადამიანურ თვისებებს, სარწმუნოებრივ და ეროვნულ ღირებულებებს.

იქედან გამომდინარე, რომ თურქმენული ეპოსის მთავარი გმირი ტიპოლოგიურად მსგავსებას ავლენს სხვა თურქულენოვანი ხალხების ეპოსებში წარმოდგენილ პერსონაჟებთან, ჩვენ მიმოვიხილეთ თურქეთსა და სხვა თურქულენოვან სახელმწიფოებში აღნიშნულ თემატიკაზე დაწერილი ფოლკლორული კვლევები. ეპოსის მთავარი გმირები განასახიერებენ მათი შემქმნელი ხალხების ეროვნულ და სარწმუნოებრივ იდეალებს. თურქმენულ ეპოსებში მთავარი გმირი სამაგალითო პიროვნებაა. შესაბამისად, ეპოს დოვლეთიარის მთავარი პერსონაჟიც თურქმენი ხალხისთვის იდეალური ადამიანური სახეა. თურქმენულ ეპოსებში მთავარი გმირი ძლიერი, მამაცი და მეომარია. მთავარი გმირი ატარებს მისი შემქმნელი ხალხის გავრცელების არეალისთვის დამახასიათებელ ადამიანურ თვისებებს. თურქმენული ეპოსები არ წარმოადგენს პირდაპირი გაგებით მითოსურ გადმოცემებს, თუმცა ისინი

შეიცავენ მის ელემენტებსაც. ჩვენს მიერ განხილული ეპოსებიდან შაბეჰრამი და მელიქე დილარამი შეიცავენ მითოსურ ელემენტებს, დოვლეთიარი, ჰოჯამბერდი ჰანი და ჰელალაი-გარიფი კი არა.

თურქმენული ეპოსის მთავარი გმირის ჩამომყალიბებელი უმთავრესი ფაქტორებია თურქმენთა ეროვნული და სარწმუნოებრივი ღირებულებები. თურქმენი ხალხი საკუთარ ყოფას წეს-ჩვეულებების მიხედვით განსაზღვრავს. თურქმენული ეპოსის მთავარი გმირის სახეც აღნიშნული ჩვეულებებისა და ღირებულებების მიხედვით იქმნება. თურქმენი ხალხი დიდ პატივს სცემს ხანებს, ბეიებს და მოხუცებს. მათ განიხილავენ როგორც ღვთაებრივი არსის მატარებელ პირებს. თურქმენული წეს-ჩვეულებები ყველაზე ინტენსიურად წარმოჩენილია ეპოსში "დოვლეთიარ". სხვა ეპოსებში ისინი ნაკლები დოზით არიან წარმოჩენილნი. თურქმენულ ეპოსებში აუცილებლად ფიგურირებს მთავარი გმირი. თურქმენი ხალხი საკუთარ მსოფლმხედველობას მთავარი გმირის მეშვეობით გადმოსცემს. მთავარი გმირები თავიანთ ერებს წარმოადგენენ და ძალას მათგან იღებენ. გმირების ნებისმიერი საქციელი ხალხის მიერ მოწონებულია. თურქმენულ ეპოსებში მთავარ პერსონაჟებს განსაზღვრული ფუქნციები აკისრიათ.

თურქმენული ეპოსების მთავარი გმირების მთავარი ფუნქციები:

1. მთავარი გმირის დაბადება წინასწარაა განსაზღვრული.
2. მთავარი გმირი არის ცნობილი ოჯახის შვილი.
3. როგორც წესი, მთავარი გმირი ოჯახის ერთადერთი ბავშვია (რიგ შემთხვევაში შეიზლება იყოს ყველაზე უფროსი ან უმცროსი შვილი).
4. მთავარი გმირის ბავშვობის შესახებ ბევრი ცნობა არ მოიცემა, როგორც წესი თხრობა გადადის მის ზრდასრულობაზე.
5. მთავარი გმირისათვის სახელის მიმცემი ცნობილი, პატივცემული პირია, სახელს კი საკრალური დატვირთვა გააჩნია.
6. მთავარ გმირს ზებუნებრივი ძალა აქვს და მას გარეული ცხოველების სახელებით მოიხსენიებენ.
7. თურქმენულ ეპოსებში ნადირობას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

8. მთავარ გმირს იცავენ ზეციური ძალები (ფერია, ჯადოქარი ...)
9. მთავარი გმირის უმთავრესი დამხმარე მისი ცხენია.
10. მთავარი გმირი ერთვება თავგადასავალში საკუთარი იდეალის განხორციელების ან იძულების მიზნით.
11. მთავარი გმირი თავგადასავლის შემდეგ სამშობლო მხარეს ტოვებს.
12. როგორც წესი, მთავარი გმირი რთულ წუთებში მარტოა.
13. მთავარი გმირი მამაცია.
14. მთავარი გმირი მრავალ დაბრკოლებას ხვდება.

14.1. ფანტასტიკური არსებები: დევები, დრაკონები, ფერიები...

14.2. ბოროტად განწყობილი ნათესავები და ნაცნობები: მამა, ძმა-და, მეუღლე, მეგობარი...

14.3. ცუდი მმართველები: ფადიშაჰი, ვეზირი...

14.4. ჯადო, მანიპულაცია.

15. მთავარი გმირი ბრძოლის პროცეში ჩადის ქვესკნელში და ადის ზეცაში. ზოგიერთ ეპოსში სიკვდილის შემდეგ აღსდგება.
16. ბრძოლის პროცესში სხვა პერსონაჟებისგან იღებს დახმარებას.
17. იცნობს მომავალ მეუღლეს.
18. წარმატებით უმკლავდება სირთულეებს.
19. მთავარი გმირი კვდება.
20. მისი სიკვდილის შემდეგ ბრძოლას აგრძელებენ მისი შვილები და შვილიშვილები.

ჩამოთვლილი კრიტერიუმების ჩვენს პერსონაჟებზე მოსადაგების შედეგად ტიპოლიგიური გადანაწილება შემდეგნაირადაა შესაძლებელი: “დოვლეთიარ“, “შაბეჰრამ“, “ჰელალაი-გარიფ“, “მელიქე დილარამ“ და “ჰოჯამბერდი ჰან“. ძირითადი სიუჟეტი, რაც იკვეთება თურქმენულ ეპოსებში არის გმირობა და სიყვარული შესაბამისი პერსონაჟებით. თუმცა, აღნიშნული კრიტერიუმები ვერ ერგება ყველა ეპოსის მთავარ გმირებს. ეს თვისებები უფრო ფართოდაა წარმოდგენილი საგმირო ეპოსებში და შედარებით ნაკლებად სასიყვარულო ისტორიებში.

დაგინდა, რომ საგმირო ეპოსში "დოვლეთიარ" წარმოდგენილია კრიტერიუმების მეტი რაოდენობა ვიდრე დანარჩენ ეპოსებში კი ნაკლებად.

მთავარი გმირი ყველაზე რთულ წუთებშიც კი მარტოა. როგორც წესი იგი მოტყუებითა თუ ჯადოს მეშვეობით ვარდება ტყვეობაში. მიუხედავვად იმისა, რომ გმირი ფლობს ზებუნებრივ შესაძლებლობებს, მას მაინც ეხმარებიან მეორადი პერსონაჟები მიზნის მიღწევაში. ასეთ პერსონაჟებს დამხმარე გმირები ეწოდება.

თურქმენულ ეპოსებში ჩვეულებრივი დამხმარე პერსონაჟები არიან: ცხენი, ორმოცი ვაჟკაცი, ვაჭარი, ქალი, მოგზაური და მწყემსი.

"დოვლეთიარ"-ის ეპოსში მთავარი გმირის გვერდით ვხედავთ დამხმარე პერსონაჟებსაც: ცხენი (სერჰოშ), დედა, შეყვარებული, გულჩემენ, ცოლი (ჰუმაი), ორმოცი ვაჟკაცი, ვაჭარი. "ჰოჯამბერდი ჰან"-ის ეპოსში გვხვდება შემდეგი დამხმარე პერსონაჟები: ცოლი (თაზეგულ), შაჰი (აქმუჰამმეთ შაჰ), ძმა (მურათ ჰან). "შაბეჰრამ"-ის ეპოსში: სახლის მეპატრონე (სარაიმან). "ჰელალაი-გარიფ"-ის ეპოსში: დედა, შაჰი (ადილ შაჰ), მოსამსახურე (დესსეგულ). "მელიქე დილარამ"-ის ეპოსში: მოხუცი კაცი (ბაბა) და ქალაქ ქენანის შაჰი. დამხმარე პერსონაჟთაგან ყველაზე ხშირად ხსენებული გმირები არიან ცხენი და ქალი. თურქმენულ ეპოსებში მთავარი გმირის უმთავრესი დამხმარე მისი ცხენია. ბრძოლებში ცხენი ახლავს გვერდით და რთულ წუთებში მას არ შორდება.

მეორადი/დამხმარე პერსონაჟებიდან ცხენის მახასიათებლები:

1. მთავარ გმირთა ცხენები ჩვეულებრივი ცხენები არ არიან. მათ ღვთაებრივი წარმომავლობა გააჩნიათ.
2. ცხენი თავისი პატრონის გვერდით ცხოვრობს და მასთან ერთად კვდება.
3. საგმირო ეპოსებში მთავარი გმირის ცხენი ან ზეციდანაა მოვლენილი ან წლიდანაა ამოსული.
4. მთავარი გმირის ცხენი ძალიან ძლიერი და გამძლეა.
5. საგმირო ეპოსებში ცხენებს საკუთარი სახელები აქვთ.
6. ცხენი ურთულეს მომენტებში საკუთარი პატრონის გვერდითაა.

“დოვლეთიარ“-ის ეპოსის მთავარი გმირის ცხენი ზემოთ ჩამოთვლილ ყველა კრიტერიუმს აკმაყოფილებს. სხვა ეპოსებში ცხენს ამდენი ყურადღება არ ექცევა და მათ არც საკუთარი სახელებით მოიხსენიებენ.

მთავარი გმირი ცოლად ირთავს სპეციალურად შერჩეულ ჩვეულებრივ ან ღვთაებრივი წარმომავლობის ქალს. ეს ქალები განსაკუთრებული შესაძლებლობებით არიან დაჯილდოვებულნი თურქმენულ ეპოსებში ქალის ტიპის თვისებები:

1. **ჩვეულებრივი ქალი.**
2. **ღვთაებრივი წარმომავლობის ქალი.**

ამ ორი განსხვავებული ქალის ტიპს გააჩნია საერთო მახასიათებლები.

ჩვეულებრივი ქალის თვისებები:

1.1. ცნობილი ოჯახის შვილია.

1.2. დაჯილდოვებულია არაბუნებრივი სილამაზით.

1.3. მაღალი ინტელექტის.

1.4. განვითარებული გრძნობებით.

1.5. მეუღლეებს გზას უჩვენებენ და ეხმარებიან.

1.6. ერთგულნი არიან.

1.7. მეუღლეებს არჩევენ მას შემდეგ, რაც მოუწყობენ სხვადასხვა გამოცდებს.

1.8. მათი ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქციაა დედობა.

შესწავლილ ეპოსებში მთავარ გმირთა ცოლები არიან: “დოვლეთიარ“-ში მაჰიმ, “ჰოჯამბერდი ჰან“-ში თაზაგულ, “შაბეჰრამ“-ში საჰიფჯემალ. “ჰელელაი-გარიფ“-ში დესსეგულ. ამ ქალთაგან დოვლეთიარის მეუღლე მაჰიმ-ი ყველაზე მეტად აკმაყოფილებს ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებს. “დოვლეთიარ“-ის გარდა სხვა ეპოსების ქალი პერსონაჟები ნაწილობრივ ფლობენ ჩამოთვლილ თვისებებს.

თვისებები, რომლებსაც ფლობენ არამიწიერი წარმოშობის ქალები:

2.1. ასეთი ქალების ყველაზე გამოკვეთილი თვისებაა მეტამორფოზი.

2.2. წყლის ან ჰაერის სტიქიონებიდან დაბადებულნი.

2.3. ძირითადად ფერიების ფორმით არიან მოყვანილნი.

2.4. ეხმარება მეუღლეს ბრძოლაში და მას ზებუნებრივ ძალებს აძლევს.

2.5. ჩვეულებრივ ადამიანებზე უფრო დიდი ხნის განმავლობაში ცოცხლობს.

2.6. დედამიწაზე მხოლოდ მას შემდეგ ჩამოვლენ (ან ამოვლენ) რაც საყვარელ მამაკაცს მისთხოვდებიან.

"შაბეჰრამ"-ის ეპოსში მოყვანილი ფანტასტიური არსება/ფერი სახელად ბალაჰუსნ-ი აკმაყოფილებს ჩამოთვლილ ყველა კრიტერიუმს. სხვა ეპოსებში ზებუნებრივი შესაძლებლობების ქალთა ტიპებს არ ვხვდებით.

ეპოსებში აუცილებლად არიან მთავარი გმირი და მისი მტერი (მტრები). მტერი არის მთავარი გმირის არსებობის მიზეზი. თუკი არ არის ვინმე, ან რამე, რაც ქმნის ქაოსს, მაშინ არც მთავარი გმირის არსებობა იქნებოდა აუცილებელი. მტერის თავისებურებები გარკვეულწილად განსაზღვრავს მთავარი გმირის თვისებებსაც. თურქმენულ ეპოსებში არსებული მტრები ორი ძირითადი ნიშნით განისაზღვრება - მიწიერი და არამიწიერი წარმომავლობა:

მიწიერი მტრისათვის დამახასიათებელი თვისებები:

1.1. ჩვეულებისამებრ, ცნობილ გვარს მიეკუთვნებიან.

1.2. მიელტვიან თანამდებობებსა და სიამოვნებას.

1.3. დაკარგული აქვთ ადამიანური თანაგრძნობა და მორალური ღირებულებები.

1.4. არიან ტირანი და უსამართლო მმართველები. ამის გამო ისინი არ უყვარს ხალხს.

1.5. ძალაუფლებისა და ქონების მოხვეჭის მიზნით მზად არიან ნებისმიერი ბოროტება ჩაიდინონ.

ჩვენს მიერ შესწავლილ ეპოსებში ასეთი პერსონაჟები არიან: “დოვლეთიარ“-ში ქიზილბაში-ი, “შაბეჰრამ“-ში ვეზირი, “ჰელალაი-გარიფ“-ში შაჰ აბბასი, “მელიქე დილარამ“-ში მთავარი გმირის მამა. არამიწიერი მტრის ტიპი მოცემულია სასიყვარულო და ფანტასტიკურ ეპოსებში.

არამიწიერი პერსონაჟების ზოგადი თვისებებია:

2.1. ფლობენ ძალიან დიდ ფიზიკურ ძალას, არიან დიდი ზომის.

2.2. არიან მიწისქვეშა ან ზეციური წარმომავლობის.

2.3. აქვთ ჯადოქრობის უნარი.

2.4. შეუძლიათ ფრენა, ფორმის შეცვლა...

2.5. არიან საკუთარ სამყაროთა ლიდერები.

2.6. ადამიანებთან შედარებით ძალიან ხანგრძლივი სიცოცხლე აქვთ.

2.7. თაღლითები და დაუნდობლები არიან.

ჩამოთ ვლილ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს “შაბეჰრამ“-ის ნეგატიური პერსონაჟი - დევი დოვზელზელე. მთავარი გმირისა და ნეგატიური პერსონაჟების მიზნები და ინტერესები ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდიან. ხსენებული ტიპის გმირი გვხვდება მხოლოდ ეპოს “შაბეჰრამ“-ში. ამ ეპოსში მთავარი გმირის მტერია ფანტასტიკური არსება დოვზელზერე. ზემოთხსენებული მტრის ტიპები მოცემულია ჩამოთვლილ ყველა ეპოსში. მსგავსად მთავარი გმირისა, მტრების მიზანიც ერთია. მსგავსი კვლევები დაგვეხმარება უკეთ გამოვავლინოთ სხვა თურქმენული ეპოსების მთავარი და მეორადი პერსონაჟები, მოვახდინოთ მატი ტიპოლოგიური ანალიზი, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნება თურქმენი ხალხის ეროვნული, სარწმუნოებრივი და ზოგადად მსოფლმხედველობრივი წარმოდგენების შესწავლისთვის.

რეკომენდაციები

1. (კვლევა) შეიძლება გამოყენებულ იქნას სკოლებსი თურქული ენისა და თურქული ლიტერატურის კურსების ფარგლებში.
2. უნივერსიტეტებში თურქული ფილოლოგიის სპეციალობაზე როგორც სასწავლო მასალა.
3. სოციოლოგიური კუთხით თურქმენი ეთნოსის წარსული და თანამედროვე გამოცდილებების შედარების მიზნით.
4. ფემინისტური პერსპექტივიდან საზოგადოებაში ქალის ადგილისა და მნიშვნელობის შესწავლა.

გამოქვეყნებულ ნაშრომთა სია

Gökcegözoglu, Ahmet (2013). Türkmen Tarihi, Destancılık Geleneği ve Mollan pes'in Eserleri, *Вопросы тюркологи, Дагистанского Государственного Университета,* Mahaçkale, 9, 87-93.

Gökcegözoglu, Ahmet (2015). Zühre –Tahir Hikayesinin Türkmen ve Kumuk Varyantlarının Epizotlarına Göre İncelenmesi, *Atatürk Üniversitesi Türkiyat Araştımalar Enstitüsü*, Erzurum, Sayı: 54, Yaz, s: 427-449.

Gökcegözoglu, Ahmet, Mustafa, Serbes (2015). Episode Examination of the Turkmen Saga of Varka-Gülşa, *International Journal of Social Sciences Education Studies, Ishik Üniversity*, December, Vol. 2, No. 2, p: 24-33.

Mustafa Serbes, Ahmet Gokcegozoglu (2016). A Motif Analysis on Avicenna's Legends that have been Detected in Turkmenistan Area, IBSU, Journal in Humanities, Tbilisi, ISSN 2298-0245; e-ISSN: 2346-8289; Volume 5, Issue 2, p:45-62.